ინდ.მეწარმე „ნელი ჩხაიძე”

ID 31001041939

ქ.მცხეთა,გმირის ქ.№2

მობ. 595 904 199

02.05.2017წ.

დასკვნა

ქალაქი თბილისი , ქუჩა თევდორე მღვდლის №53, არასასოფლო დანიშნულების მიწის ნაკვეთში ს.კ.01.13.06.007.022 პროექტით გათვალისწინებული ამხანაგობა „ი.ბ.ა. თევდორე მღვდლის 53”-ის კომერციული დანიშნულების ორსართულიანი, სარდაფით შენობის მშენებლობის გამო ნაკვეთის მეზობლად (ს/კ 01.13.06.007.015) არსებული შენობების კონსტრუქციული მდგრადობის უსაფრთხობის შესახებ.

შპს „ავტობლოკი”-ს (ს./კ 404400153) დირექტორის მურმან ხაჟალიას ა/წლის 27 აპრილის მომართვის საფუძველზე, ჩვენს მიერ გამოკვლევა ჩაუტარდა ქ.თბილისში, ქუჩა თევდორე მღვდლის №53, არასასოფლო დანიშნულების მიწის ნაკვეთში ს.კ.01.13.06.007.022 პროექტით გათვალისწინებული ამხანაგობა „ი.ბ.ა. თევდორე მღვდლის 53”-ის კომერციული დანიშნულების ორსართულიანი, სარდაფით შენობის მშენებლობის გამო ნაკვეთის მეზობლად (ს/კ 01.13.06.007.015) არსებული შენობების კონსტრუქციული მდგრადობის უსაფრთხობას.

შეფასების პროცესი

შეფასების მსვლელობისას ჩატარდა შემდეგი სამუშაოები:

1. ნაგებობის შემოგარენის ვიზუალური დათვალიერება
2. პირველადი ინფორმაციის მოპოვება შეფასების ობიექტის სიდიდის, ტექნიკური მდგომარეობის,გამოყენების და ექსპლოატაციის შესახებ.
3. ინსტრუქციებისა და გადაწყვეტილებების მოძიება,რომელის დაგვეხმარებოდა შეგვექმნა რეალური სურათი მდგრადობაზე.
4. შედეგების შეფასება და საბოლოო მდგრადობის დადგენა.
5. დასკვნის შედგენა.

ჩატარებული სამუშაოების დროს შეგროვილი მასალის ანალიზის შედეგად დადგინდა:

6. ვიზუალური დათვლიერებით ნაკვეთი, რომელზეც გათვალისწინებულია საპროექტო შენობის მშენებლობა არის გამიჯნული ნაკვეთებისაგან, რომლზეც განთავსებულია საკვლევი შენობები.



7. საკვლევი შენობები წარმოადგენს კომერციულ ფართებს. მიშენებულია არსებულ ძირითად შენობასთან. არის ერთსართულიანი,ცალქანობიანი გადახურვით, რომელთა ერთი კედელი ესაზღვრება საპროექტო შენობას. კედელი 20 სმ სისქის წვრილი სამშენებლო ბლოკითაა შევსებული.არ შეინიშნება სეისმური ბზარები და მდგრადია. შენობების ძირითადი მზიდი კონსტრუქციული ელემენტები მდგრადია..
8. დაწყებულია საპროექტო საპროექტო შენობის მშენებლობა, ამოღებულია სარდაფის მოსაწყობად ქვაბული, რომლის ერთი გვერდი ესაზღვრება საკვლევი შენობის კედელს.
9. საკვლევი შენობის კედლის მდგრადობის შესანარჩუნებლად, უნდა ჩატარდეს საძირკვლის გამაგრებითი სამუშაოები, რომელზეც დაფუძნებულია არსებული კედელი.
10. საპროექტო შენობის სარდაფის კედელი,რომელიც ესაზღვრება არსებული შენობის კედელს, დაპროექტებულია მონოლითური რკინა-ბეტონისაგან ,იგი ერთგვარად წარმოადგენს არსებული შენობის კედლისათვის საყრდენ კედელს და გაამყარებს მის მდგრადობას.
11. მიზანშეწონილად მიგვაჩნია დაჩქარდეს საპროექტო შენობის სარდაფის სართულის მშენებლობა ქვაბულის პერიმეტრზე გრუნტის მდგრადობის შესანარჩუნებლად.
12. საპროექტო შენობის მშენებლობისას არ იქნეს გამოყენებული ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოები.
13. განსაკუთრებული ყურადრება მიექცეს მშენებლობის დროს საკვლევი შენობების საძირკვლების კონსტრუქციული მდგრადობის შენარჩუნების მიზნით წყალამრიდი სამუშაოების ჩატარებას.
14. მშენებლობის პერიოდში ყურადღება მიექცეს,რომ არ მოხდეს სამშენებლო ნაგვის სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელში ჩაყრა.
15. სამშენებლო მოედანი შემოიღობოს დროებითი დამცავი ღობით, უსაფრთხოების დაცვითი ღონიძიებების სარეკლამო ბანერით.

დასკვნა

ქალაქ თბილისში, ქუჩა ქუჩა თევდორე მღვდლის №53, არასასოფლო დანიშნულების მიწის ნაკვეთში ს.კ.01.13.06.007.022 პროექტით გათვალისწინებული ამხანაგობა „ი.ბ.ა. თევდორე მღვდლის 53”-ის კომერციული დანიშნულების ორსართულიანი, სარდაფით შენობის მშენებლობა არ შეუქმნის საფრთხეს ჩვენი შენიშვნების გათვალისწინებით მის მეზობლად არსებული ნაკვეთის მეზობლად (ს/კ 01.13.06.007.015) არსებული შენობების კონსტრუქციული მდგრადობას.

ინდ.მეწარმე

ინჟინერ-კონსტრუქტორი (სერტ.011-21377) ნ. ჩხაიძე

მშენებლობაში მუშაობის 47 წლის სტაჟი, მათ შორის ექსპერტად მუშაობის 17 წელი.